ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №29
2018 წლის 25 აპრილი

ქ. ბორჯომი

„ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 თებერვლის №11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დაადგინა:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 თებერვლის №11 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 09/03/2018, 010250020.35.139.016269)

1. დებულების მე-9 მუხლის რედაქციიდან ამოღებულ იქნეს სიტყვა „ლიკვიდაცია“ და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სამსახურის რეორგანიზაცია ხორციელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

2. სამსახურის რეორგანიზაციის სამართლებრივი საფუძველია მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება.“.

2. დებულების მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

დადგენილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი გოგიჩაიშვილი**